სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №

DES 4 20 00000057

21/02/2020

ქ. თბილისი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ რეგულირების ობიექტების გეგმურ შემოწმებათა 2020 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №61 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №26 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების" მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 20 თებერვლის №1974/01 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ რეგულირების ობიექტების გეგმურ შემოწმებათა 2020 წლის გეგმა“.

2. დაევალოს დეპარტამენტის ადმინისტრაციას ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გეგმის დეპარტამენტის ვებგვერდზე განთავსება.

3. ეს ბრძანება დაეგზავნოს დეპარტამენტის უფროსის მოადგილეებს, დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის პირველად სტრუქტურულ ერთეულებსა და დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოებს (სამმართველოებს).

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6).

ირაკლი მუკნიაშვილი
დეპარტამენტის უფროსი